

ირინა კრიბა

ივან ფრანკოს ლვოვის ეროვნული უნივერსიტეტი

მულტილინგვიზმი როგორც ურთიერთგაგების მექანიზმი - უკრაინის მაგალითი

*თქვენ ვერასოდეს გაიგებთ ერთ ენას,
თუ არ გეცოდინებათ მინიმუმ ორი ენა“
ჯეფრი უილიამსი*

მთელი მსოფლიო და, განსაკუთრებით, ევროპა დღეისათვის იმყოფება ახალი ღირებულებების ძიებაში, რომლებიც უკავშირდება ურთიერთგაგებას, თანაშრომლობასა და ახალი - მულტილინგვური, მულტიკულტურული და მულტიეთნიკური - საზოგადოების შექმნას.

მულტიკულტურალიზმისა და მულტილინგვიზმის შესწავლის დროს უფრო მეტი ყურადღება ექცევა სხვადასხვა მულტილინგვური საზოგადოებისთვის დამახასიათებელ საერთო ელემენტებს და არა იმ მახასიათებლებს, რომლებითაც ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან. თუმცა, ასეთმა მიდგომამ შეიძლება გამოიწვიოს პრობლემის ზედმეტი გამარტივება. საერთო ელემენტების კომბინირების შემთხვევაში, უყურადღებოდ რჩება ის საკითხები, რომლებიც არ წარმოადგენს მსგავსებათა ნაწილს. წინამდებარე სტატიის მიზანია, ევროპის მულტილინგვური საზოგადოებების ფონზე, უკრაინაში მულტილინგვიზმთან დაკავშირებული სიტუაციის აღწერა.

საკვანძო სიტყვები: მულტილინგვური განათლება; მულტიეთნიკური საზოგადოება; მულტიკულტურალიზმი; ახალი ევროპული ღირებულებები.

უკრაინაში მულტილინგვიზმის ფენომენი დღეისათვის, ისევე, როგორც სამომავლო პერსპექტივაში, განსხვავდება მულტილინგვიზმის ევროპული და

მსოფლიო მაგალითებისგან. მულტილინგვიზმის კონტექსტში სრულიად განსხვავებულია ის ქვეყნებიც კი, რომელთა ენობრივი პოლიტიკა ჰგავს

უკრაინის შესაბამის პრაქტიკას. ევროპისა და მსოფლიოს ქვეყანათა უმრავლესობაში, მულტილინგვიზმის ფენომენი, როგორც დე-ფაქტო, ასევე დე-იურე, წარმოადგენს ენობრივი პოლიტიკის ბუნებრივ ნაწილს, რომელიც ორიენტირებულია ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების საკომუნიკაციო საჭიროებების შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად დაკმაყოფილებაზე. მულტილინგვიზმზე, როგორც ერთ-ერთი ძირითადი ტენდენციისა და დღევანდელი საჭიროებებისა და გამოწვევების შესახებ საუბრისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ აუცილებელია მულტილინგვიზმის ფუნქციურ მხარეზე ფოკუსირება და მისი, როგორც პოლიტიკური მიზნების მისაღწევი ინსტრუმენტისგან გამიჯვნა.

დღეისათვის მსოფლიოში დაახლოებით 5 000 – 7 000 ენაა. ენების რაოდენობის ზუსტი განსაზღვრა ძალიან რთულია, რადგან ენასა და დიალექტს შორის განსხვავება ყოველთვის ცალსახა არ არის. უფრო მეტიც, ენა არ არის ცალკე ფენომენი და ხშირად ენასა და დიალექტს შორის საზღვრის გავლება რთულია. ლინგვისტური მრავალფეროვნების განსაზღვრება ზოგადია: „ადამიანთა ენების მიერ გამოხატული განსხვავებები“¹.

თანამედროვე მსოფლიოში ცხადი ხდება ენის განსაკუთრებული მნიშვნელობა კაცობრიობის განვითარების, კულტურულ მრავალფეროვნებათა ინტერკულტურული დიალოგის, ყველას მიერ ხარისხიანი განათლების მიღების, თანამშრომლობის გაძლიერების, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მიღწევების მდგრადი განვითარებისათვის გამოყენების მიმართულებით. ამიტომაც მულტილინგვიზმის მნიშვნელობის გააზრება ძალიან მნიშვნელოვანია. რადგანაც ენის კომონენტი წარმოადგენს ყველა სფეროში UNESCO-ს მანდატების ნაწილს, აღნიშნული ორგანიზაცია მხარს უჭერს მულტილინგვიზმისა და ლინგვისტური მრავალფეროვნების მულტიდისციპლინურ მიდგომას, რაც ნიშნავს ყველა სექტორის მოცვას: განათლება, კულტურა, მეცნიერება, კომუნიკაცია და ინფორმაცია, აგრეთვე - სოციალური მეცნიერებები.²

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსოფლიოში 5000-7000 ენაა, მაშინ, როდესაც სახელმწიფოების რაოდენობა დაახლოებით 200-ია. ამდენად, მულტილინგვიზმი ნამდვილად აქტუალური და ფართოდ გავრცელებული ფენომენია.

¹ Durk Gorter, “Cultural diversity as an asset for human welfare and development” in Sustainable Development in a Diverse World (SUS.DIV) www.ebos.com.cy/susdiv/uploadfiles/RT1.2_PP_Durk.pdf

² Languages and Multilingualism | United Nations Educational - Unesco www.unesco.org/en/languages-and-multilingualism/

მულტილინგვიზმის ფუნქციური ასპექტის განხილვისთვის მნიშვნელოვანია, რომ პირველ რიგში განიმარტოს უშუალოდ მულტილინგვიზმის ცნება და მულტილინგვიზმის სტატუსის დაკმაყოფილებისთვის განისაზღვროს ენების ცოდნის მინიმალური დონე.

მულტილინგვიზმი არის პოლიგლოტური მოვლენა, ანუ ერთი ადამიანის ან თემის/საზოგადოების მიერ რამდენიმე ენის გამოყენება. მულტილინგვალების რაოდენობა მსოფლიოში აღემატება მონოლინგვალების რაოდენობას. მულტილინგვიზმი ხდება სოციალური ფენომენი, რომელიც განპირობებულია გლობალიზმისა და კულტურული ღიაობის საჭიროებებით.³

ნებისმიერი მულტილინგვალი თავდაპირველად ეუფლება ერთ ენას (პირველი ენა). პირველ ენას ასევე უწოდებენ მშობლიურ ენას. მისი დაუფლება ხდება ფორმალური განათლების გარეშე, შემდეგ კი მტკიცდება პრაქტიკითა და განათლებით. შესაბამისად, ჩნდება შემდეგი კითხვები: „რა დონეზე უნდა იცოდეს ადამიანმა მეორე (მომდევნო) ენა იმისათვის, რომ ჩაითვალოს მულტილინგვალად?“, ან „რას ნიშნავს ენების ცოდნა?“. ამ კითხვებზე რამდენიმე პასუხი არსებობს:

1. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადამიანებს შეუძლიათ წარმატებით იმოღვაწეონ მათი მშობლიური ენისგან განსხვავებულ ენაზე. უფრო მეტიც, მათ შეუძლიათ ძალიან მაღალ დონეზე დაეუფლონ მეორე (მშობლიურისგან განსხვავებულ) ენას (მაგალითად, მწერლები, პოლიტიკოსები და სხვა);
 2. დღეისათვის ინგლისური ენის გამოყენება განიხილება, როგორც *lingua franca*. ამ შემთხვევაში, საერთო ენაზე მოსაუბრე ადამიანები ფუნქციურად მულტილინგვალები არიან;
 3. არსებობს ე.წ. მაქსიმალისტური განმარტება, რომლის თანახმადაც, პიროვნება ისეთსავე მაღალ დონეზე ფლობს მეორე ენას, როგორც პირველს (მშობლიურს). ასევე, არსებობს ე.წ. მინიმალისტური განსაზღვრება, რომელიც ეფუძნება ენის გამოყენების პრინციპს; მაგალითად, ტურისტები, რომლებიც, მიუხედავად უცხო ენის არასრულფასოვნად ცოდნისა, ეფექტურად ახერხებენ სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებას, ითვლებიან მულტილინგვალებად.
- მულტილინგვალების უმრავლესობა ენების ცოდნით მაქსიმალისტურ და მინიმალისტურ განსაზღვრებათა

³ Tucker. G. Richard A Global Perspective on Bilingualism and Bilingual Education Online Resources: Digests August 1999 EDO-FL-99-04 en.wikipedia.org/wiki/Multilingualism

შორისაა. ვივიენ კუკი მათ მულტი-კომპეტენტურებს უწოდებს.⁴

მულტილინგვიზმი ჩვეულებრივი მოვლენა უფროა, ვიდრე იშვიათობა და გამონაკლისი: „დღევანდელი გარემოებებიდან გამომდინარე, ორი ენის ცოდნა ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენაა, როგორც ორი ფილტვის ქონა“.⁵ მულტილინგვალების კონკურენტუნარიანობა სცდება ლინგვისტიკის სფეროს. „ადამიანს, რომელიც საუბრობს რამდენიმე ენაზე, აქვს მულტიპერსპექტიული ხედვა, რაც ხელს უწყობს მეტად მოქნილ აზროვნებას, კითხვის უფრო ადვილად სწავლას. ამიტომაც მულტილინგვალები არ შემოიფარგლებიან მხოლოდ ერთი ხედვით და სხვადასხვა პერსპექტივიდან უყურებენ მოვლენებს. სწორედ ეს მიიჩნევა უცხოური ენების სწავლის უმთავრეს დანიშნულებად“.⁶

მაიკლ პარადოვსკის მიხედვით, მონოლინგვალებთან შედარებით, მულტილინგვალი ბავშვებიც და მოზრდილებიც რამდენიმე უპირატესობით გამოირჩევიან:

- ენის სიღრმისეული გააზრება და აღქმა;
- მშობლიური ენის უფრო სწრაფად შესწავლის უნარი, მიუხედავად რასისა, სქესისა ან განათლების დონისა;
- მშობლიურ ენაზე უფრო ეფექტურად კომუნიკაციის უნარი;
- მზარდი ლექსიკური მარაგი (მათ შორის მშობლიურ ენაზე);
- გაგებისა და მახსოვრობის უკეთესი უნარი;
- უკეთესი ვერბალური და სივრცეში ორიენტირების უნარები;
- უკეთესი კოგნიტური მოქნილობა, პრობლემის მოგვარების უკეთესი უნარები, უფრო მაღალი დონის სააზროვნო უნარები;
- ფართო მსოფლმხედველობა და საკუთარი კულტურის სხვა პერსპექტივიდან დანახვის შესაძლებლობა, რაც ხელს უწყობს კულტურული კონცეპტების შედარებას, შეპირისპირებასა და გაგებას;
- უკეთესი კრიტიკული აზროვნების უნარები;
- სხვა ქვეყნებისა და კულტურების დაფასების უკეთესი უნარები, რაც, თავის მხრივ, ამცირებს ქსენოფობიას, რასიზმს და არატოლერანტობას (ახალი ენის შესწავლას თან სდევს ახალი კულტურის გაცნობა და შესწავლა);
- უცხოური ენების შესწავლის უკეთესი უნარი;
- სხვადასხვა პროფესიაში დასაქმებისა უკეთესი პერსპექტივები.⁷

⁴ Cook, Vivian J. Requirements for a multilingual model of language production. <http://www.ntlworld.com/vivian.c/Writings/Papers/RequirementsForMultilingualModel.htm>

⁵ **Paradowski Michał B.** The Benefits of Multilingualism. <http://www.multilingualliving.com/2010/05/01/the-benefits-of-multilingualism-full-article/>

⁶ Cook, Vivian J. Requirements for a multilingual model of language production. <http://www.ntlworld.com/vivian.c/Writings/Papers/RequirementsForMultilingualModel.htm>

⁷ **Paradowski Michał B.** The Benefits of Multilingualism.

დღეისათვის ევროპის 48 სახელმწიფოს აქვს 38 სხვადასხვა სახელმწიფო ენა. თუმცა, ამის პარალელურად, არსებობს 240 მკვიდრი ენა. ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა იტალია, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო, გერმანია, პოლონეთი, საფრანგეთი, ესპანეთი, რუმინეთი და უკრაინა - აქვთ არაერთი მკვიდრი ან რეგიონული ენა.⁸

უკრაინის მოსახლეობა მულტილინგვური შემადგენლობისაა. უკრაინის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, ქვეყანაში ცხოვრობს 130-ზე მეტი ეროვნებისა და ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი.

ეთნიკურად უკრაინელები ქვეყნის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს წარმოადგენს - 77.8 %. მომდევნო ყველაზე დიდ ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენენ რუსები - 17.3 %. დანარჩენი ეთნიკური უმცირესობების ჯგუფები არიან ბელორუსები (0.6 %), მოლდოველები (0.5 %), ყირიმელი თათრები (0.5 %), ბულგარელები (0.4 %), უნგრელები (0.3 %), რუმინელები (0.3 %), პოლონელები (0.3 %), ებრაელები (0.2 %), სომხები (0.2 %), ბერძნები (0.2 %), თათრები (0.2 %), ქართველები (0.1 %), ბოშები (0.1 %),

აზერბაიჯანელები (0.1 %), გერმანელები (0.1 %), გაგაუზები (0.1 %).⁹

როგორც ზემოთ მოცემული ინფორმაციიდან ჩანს, ენასთან დაკავშირებული სიტუაცია უკრაინაში საკმაოდ რთულია. ამ ფონზე უკრაინულ ენას განსაკუთრებული საზოგადოებრივ-ლინგვისტური ადგილი უჭირავს. დე იურე, უკრაინული არის მთელს ქვეყნის ტერიტორიაზე გავრცელებული ენა, თუმცა რეალურად სიტუაცია რადიკალურად განსხვავებულია. უფრო მეტიც, უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილის დიდ ქალაქებში რუსული ენა თამაშობს დომინანტურ როლს. ევროპის არცერთ ქვეყანაში არ ხდება უმცირესობის ენის მიერ სახელმწიფო ენის ასეთი ჩანაცვლება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქვეყნის გარკვეულ ტერიტორიაზე, ფაქტობრივად, უმცირესობის ენა წარმოადგენს სახელმწიფო ენას. ქვეყნის უმეტეს ნაწილში ცხოვრობს ბილინგვალი მოსახლეობა, თუმცა არის ქალაქები, სადაც მულტილინგვალი მოსახლეობა ცხოვრობს. უკრაინის ენობრივი სიტუაციის ერთ-ერთი უცნაური მახასიათებელი ისაა, რომ ეთნიკურად უკრაინელი მოსახლეობის ნაწილისთვის, ისევე, როგორც ეთნიკური უმცირესობების ერთი ნაწილისთვის, მშობლიური ენა არის რუსული.

შესაბამისად, ენობრივი პოლიტიკის მიზანი უნდა იყოს ბილინგვალეებს შორის უკრაინული ენის გაძლიერება, ისე, რომ

<http://www.multilingualliving.com/2010/05/01/the-benefits-of-multilingualism-full-article/>

⁸ Durk, Gorter. "Cultural diversity as an asset for human welfare and development" in Sustainable Development in a Diverse World (SUS.DIV) www.ebos.com.cy/susdiv/uploadfiles/RT1.2_PP_Durk.pdf

⁹ Матеріали Всеукраїнського перепису 2001 р. <http://2001.ukrcensus.gov.ua/eng/results/general/nationality/>

საფრთხე არ შეექმნას რუსულ კომპონენტს და შეძლოს ფუნქციური ნიშის შენარჩუნება უკრაინულ რეალობაში. გარდა ამისა, უკრაინული ენის სათანადო სოციალური სტატუსის მოპოვებისთვის, იგი უნდა გახდეს *lingua franca* საზოგადოების თითოეული წევრისთვის.¹⁰

პიროვნების ლინგვისტური არჩევანი ნამდვილად არ არის დამოუკიდებელი ქმედება. იგი განპირობებულია რამდენიმე ექსტრალინგვისტური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორით, როგორებიცაა:

- ქვეცნობიერად დომინანტი ენის აღიარება;
- ნეგატიური სტერეოტიპების ზეწოლა, რომელთა მიზანია ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას შორის განსხვავების აღმოფხვრა;
- ეროვნული იდენტობის ღრმა კრიზისი და ეროვნული კულტურის უკუსვლა.

ენასთან დაკავშირებული არჩევანი ასევე დაკავშირებულია ისტორიულ ტრადიციებთან. უკრაინის სამხრეთ და აღმოსავლეთ რეგიონები წლების განმავლობაში რუსეთი ნაწილი იყო. ამან იმდენად დიდი გავლენა იქონია იქაურ მოსახლეობაზე, რომ, ფაქტობრივად, დაიწყო ახალი ეთნოსის ჩამოყალიბება.¹¹ ამდენად, უკრაინის კონტექსტში

მულტილინგვიზმი არ უნდა ნიშნავდეს ეროვნული იდენტობის დაკარგვას.

უკრაინის კონსტიტუციის მე-10 მუხლი ითვალისწინებს შემდეგს: „უკრაინის სახელმწიფო ენა არის უკრაინული“. ამასთანავე, 53-ე მუხლის მიხედვით: „ეროვნულ უმცირესობებს აქვთ მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება, ან სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში ან კულტურულ ცენტრებში მშობლიური ენის შესწავლის უფლება“.¹²

უკრაინის მოსახლეობის ლინგვისტური შემადგენლობა 2001 წლის აღწერის მიხედვით ასეთია:

- მოსახლეობის 67.5 % -ის მშობლიური ენა არის უკრაინული;
- მოსახლეობის 29.6 % -ის მშობლიური ენა არის რუსული;
- დანარჩენ ენებზე მოსაუბრე მოსახლეობა შეადგენს 2.9 %-ს.

უკრაინული ენა მშობლიურ ენად აღიარა ეთნიკურად უკრაინელი მოსახლეობის 85.2 %-მა, ხოლო რუსული ენა მშობლიურ ენად მიიჩნია ეთნიკურად რუსი მოსახლეობის 95.9 %-მა. ეს ნამდვილად წარმოადგენს ეროვნული კრიტერიუმით ეროვნული თვითიდენტიფიცირების ინდიკატორს.¹³

პირველ ცხრილში წარმოდგენილია ძირითადი ეთნიკური ჯგუფების მიერ უკრაინული, რუსული და სხვა ენების გამოყენება.

¹⁰ Ажнюк Б. Мовна ситуація в Україні і зарубіжний досвід мовного планування // Українознавство. – 2007. – № 1. – С. 176–182.

¹¹ Кісь Р. Лінгвокультурна маргіналізація у містах України (неофункціональне бачення) // Мовні конфлікти і гармонізація суспільства: Матеріали наукової конференції. – К., 2002. – С. 55–58

¹² Constitution of Ukraine. http://www.stat-ic.rada.gov.ua/site/const_eng/constitution_eng.htm

¹³ Матеріали Всеукраїнського перепису 2001 р. <http://2001.ukrcensus.gov.ua/eng/results/general/language/>

ცხრილი 1.

ეროვნება	მშობლიური ენა			
	ეთნიკური ჯგუფის ენა	უკრაინული	რუსული	სხვა
ბელორუსები	19.8	17.5	62.5	0.2
ბულგარელები	64.2	5.0	30.3	0.5
ყირიმელი თათრები	92.0	0.1	6.1	1.8
გაგაუზები	71.5	3.5	22.7	2.3
გერმანელები	12.2	22.1	64.7	1.0
ბერძნები	6.4	4.8	88.5	0.3
უნგრელები	95.4	3.4	1.0	0.2
ებრაელები	3.1	13.4	13.4	13.4
მოლდოველები	70.0	10.7	17.6	1,7
პოლონელები	12.9	71.0	15.6	0.5
რუმინელები	91.7	6.2	1.5	0.6
რუსები	95.9	3.9	-	0.2

როგორც ცხრილიდან ჩანს, უმცირესობების უმეტესი ნაწილი მშობლიურ ენად მიიჩნევს რუსულს. ამ გარემოებას თავისი ისტორიული ახსნა აქვს. რუსეთის იმპერიის პერიოდის ანალიზის გარეშეც, ძლიერი ენობრივი პოლიტიკის ნიშნები შეიმჩნევა საბჭოთა კავშირის პერიოდშიც. უკრაინის რუსიფიკაციისთვის არაერთი კარგად დაგეგმილი ღონისძიება განხორციელდა, რაც ითვალისწინებდა ეროვნული ენის სოციალური ფუნქციების აღმოფხვრას და საბჭოთა საზოგადოებაში რუსულის, როგორც საბჭოთა რესპუბლიკებს შორის კომუნიკაციის ენის გაძლიერებას. უფრო მეტიც, საბჭოთა უკრაინის ტერიტორიაზე

რუსული გახდა ოფიციალური და ბიზნეს კომუნიკაციის ენა, ისევე, როგორც საშუალო და უმაღლესი განათლების ენა.

XX საუკუნეში მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც კარგად ფლობდნენ რუსულ ენას, ან რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ რუსული მათი მშობლიური ენა იყო. ეს განპირობებული იყო ეთნიკური რუსებისა და რუსულენოვანი ეთნიკური ჯგუფების გადასახლებით უკრაინის რესპუბლიკაში და რუსიფიკაციის პოლიტიკით¹⁴.

რუსიფიკაციის განმაპირობებელი ფაქტორები იყო:

¹⁴ Лозинський Р. Мовна ситуація в Україні. – Львів, 2008. – С. 213–314

- ახალი - „საბჭოთა ერის“ - ჩამოყალიბება ყოფილ საბჭოთა კავშირში;
- ეროვნული უმცირესობებისადმი რუსულენოვანი ხელისუფლების ფორმალური დამოკიდებულება;
- საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე რუსული ენის „საერთაშორისო კომუნიკაციის ენად“ გამოცხადება“;
- ჰოლოდომორის რეპრესიები 1932-33 წლებში (10 მილიონი უკრაინელი გარდაიცვალა), რამაც დიდი გავლენა იქონია უკრაინული საზოგადოების ეთნიკურ და ეროვნულ სტრუქტურაზე;
- ფართომასშტაბიანი ურბანიზაცია;
- ეროვნული უმცირესობების დეპორტაცია და ტრანსმიგრაცია.

მიუხედავად ასეთი ენობრივი პოლიტიკისა, სიტუაცია მნიშვნელოვნად გასხვავდებოდა დასავლეთ უკრაინაში და მის მთავარ ქალაქ ლვოვში. 2001 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, უკრაინელები ლვოვის მოსახლეობის 88.1 %-ს შეადგენდნენ. ყველაზე დიდ უმცირესობას წარმოადგენდნენ რუსები (8.9 %), შემდეგ პოლონელები (0.9 %), ბელორუსიელები (0.4 %), ებრაელები (0.3 %) და სომხები (0.1 %). სხვა ეროვნებები შეადგენდნენ 1.3 %-ს.¹⁵

ისტორიულად, ლვოვი დაარსდა ძველი უკრაინელი მოსახლეობის მიერ. როდესაც XIII საუკუნის შუა წლებში ჰალიხ-ვოლინის სამეფოს დედაქალაქი გადავიდა ლვოვში, იქ დასახლება დაიწყო გერმანელმა და სომეხმა უმცირესობამ. პოლონეთის სამეფოში გაწევრიანების შემდეგ, პოლონელები და გერმანელები შეადგენდნენ ქალაქის უმრავლესობას, რომლებმაც დროთა განმავლობაში განიცადეს ასიმილაცია. ასევე, მრავლად დასახლდნენ სომხები და ებრაელები. ავსტრია-უნგრეთის იმპერიის დროს იგივე სიტუაცია შენარჩუნდა. XX საუკუნეში პოლონელები შეადგენდნენ მოსახლეობის უმრავლესობას, ებრაელები - მოსახლეობის 1/3-ს, ხოლო 1/10 საკუთარ თავს უკრაინელებს უწოდებდა.

ჰოლოკოსტისა და „ვისლას“ ოპერაციის შედეგად, დასავლეთ უკრაინასა და ლვოვში პოლონელებისა და ებრაელების წილი დრამატულად შემცირდა. საბჭოთა კავშირის დაარსების პერიოდში ლვოვში დასახლდნენ სხვადასხვა რანგის ხელისუფლების წარმომადგენელი რუსი ეროვნების მოსახლეობა, ინდუსტრიალიზაციის პერიოდში კი ლვოვში ადგილი ჰქონდა მასობრივ ურბანიზაციას და მიმდებარე სოფლებიდან მოსახლეობის გადმოსვლას.¹⁶

¹⁵ Матеріали Всеукраїнського перепису 2001 р. <http://2001.ukrcensus.gov.ua/eng/results/general/language/>

¹⁶ Капраль М. Національні громади міста Львова XVI–XVIII ст. (соціально-правові взаємини). – Львів: ЛНУ ім. І. Франка, 2003. – С. 8.

როგორც ვხედავთ, ლვოვის მულტილინგვიზმი მნიშვნელოვნად განაპირობა მისი ისტორიული და პოლიტიკური განვითარების ტენდენციებმა. სხვა გარემოებებს შორის უნდა აღინიშნოს, რომ ეთნიკური ჯგუფების უმრავლესობამ, რომლებიც სხვადასხვა დროს ლვოვში წარმოადგენდნენ უმცირესობასა და უმრავლესობას, მოახერხეს საკუთარი კულტურული იდენტობისა და ენის შენარჩუნება. ამან კი ხელი შეუწყო ისეთი გარემოს ჩამოყალიბებას, სადაც თანაცხოვრობდნენ სხვადასხვა ენები, რომელთა როლი ყოველდღიურ ცხოვრებაში ძალიან დიდი იყო. ასევე

მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან კომუნიკაციის დამყარება, რაც მოითხოვდა უცხოურ ენებში კომპეტენტურობას. ინგლისურს, როგორც lingua franca-ს, მილიონობით სხვა ეროვნებისა თუ მშობლიური ენის მქონე ადამიანი იყენებს. განათლება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მულტილინგვიზმს. მეორე და უცხოური ენები საბაზო და ნაწილობრივ საშუალო საფეხურის განათლების კურიკულუმის შემადგენელი ნაწილია.

ცხრილი 2 აჩვენებს იმ უმცირესობების პროცენტურ რაოდენობას, რომლებსაც საკუთარ მშობლიურ ენად მიაჩნიათ რუსული ან უკრაინული.

ცხრილი 2.

ეროვნება	მშობლიური ენა %		
	ეთნიკური ჯგუფის ენა	უკრაინული	რუსული
უკრაინელები	98.58	-	1.40
რუსები	90.35	9.56	-
პოლონელები	46.98	45.51	7.20
ბელორუსები	23.53	26.61	49.54
ებრაელები	5.34	28.22	65.72
სომხები	36.80	21.25	41.12
თათრები	27.53	14.90	58.82

როგორც ცხრილიდან ჩანს, საკუთარი ეროვნების ენას მშობლიურ ენად მიიჩნევს ეთნიკურ უმცირესობათა საკმაოდ დიდი ნაწილი. ეს მიუთითებს ქალაქის ეროვნული და კულტურული ცხოვრების

მრავალმხრივ განვითარებას. ასევე, საინტერესოა, რომ 22 ეთნიკური უმცირესობა გაერთიანებულია უმცირესობების საზოგადოებაში - „ეთნოსი“. საზოგადოებაში ინტერკულტურული

კომუნიკაციის ენა არის უკრაინული და არა - რუსული. უმცირესობებს აქვთ სხვადასხვა ინსტიტუციები და ორგანიზაციები, რომელთა მიზანია მათი ენებისა და კულტურის განვითარება და ხელშეწყობა:

- რუსული კულტურის ცენტრი დ 5 რუსულენოვანი სკოლა, ასევე, 3 რუსულ-უკრაინული სკოლა;
- პოლონური კულტურის ცენტრი და 2 პოლონურენოვანი სკოლა, ისევე, როგორც პოლონური ენის კურსები ბალის ასაკის ბავშვებისთვის;
- ებრაული კულტურის ცენტრი, რომელიც ხელს უწყობს ებრაული ენის შენარჩუნებას ებრაული ენის საკვირაო კურსებისა და მუზეუმის საშუალებით;
- ბელორუსიის ცენტრი, რომელიც, საკვირაო სკოლის საშუალებით, ხელს უწყობს ბელორუსიული ენის შენარჩუნებას;
- ლიტვური საზოგადოება „მადეინა“ და საკვირაო სკოლა;
- სომხური საზოგადოება, რომელიც აერთიანებს 2 ორგანიზაციას: „სომხური კულტურის ცენტრი“ და „უკრაინაში სომხური ახალგაზრდების კავშირი“, ასევე ენის შემსწავლელი კურსები.

ლვოვის ივან ფრანკოს ეროვნული უნივერსიტეტის კურიკულუმი მოიცავს სავალდებულო კურსებს რუსულ ენასა და ლიტერატურაში, პოლონურ ენასა და

ლიტერატურაში, ჩეხურ ენაში და არჩევით კურსებს ლიტვურ ენაში. ლვოვის ფრანკოს ეროვნული უნივერსიტეტი უკრაინაში ორ უნივერსიტეტს შორის ერთ-ერთია (კიევის მოჰილას აკადემიასთან ერთად), სადაც „ენობრივი პოლიტიკა“ სავალდებულო კურსია. ასევე, სახელმწიფო ბიუჯეტით ფინანსდება სკოლები პოლონური და რუსული უმცირესობისთვის.

ყველა უმცირესობა (გარდა ებრაელებისა და სომხებისა, რომლებიც იყენებენ რუსულს) საკუთარ ორგანიზაციებთან კომუნიკაციას ამყარებენ თავიანთ მშობლიურ ენებზე. თითოეული ორგანიზაცია უსაფრთხოდ ფუნქციონირებს.

ინგლისურის, როგორც ევროპის საერთაშორისო საზოგადოებაში *lingua franca*-ს სტატუსს შესაბამისი ასახვა აქვს ლვოვის დაწყებთ, საშუალო და უმაღლეს განათლებაში. ყველა სახის საგანმანათლებლო დაწესებულებაში ინგლისურ ენას პირველი უცხოური ენის სტატუსი აქვს. მის შემდეგ კი განიხილება ისეთი ენები, როგორებიცაა გერმანული, ფრანგული და ესპანური.

დაბოლოს, მნიშვნელოვანია ბიოლოგიურ და ლინგვისტურ მრავალფეროვნებას შორის.

როგორც დავით კრისტალი აღნიშნავს თავის წიგნში „ენის სიკვდილი“: „რა თქმა უნდა, როგორც ცხოველების სახეობების გადაშენება ამცირებს მსოფლიოს, ასეთივე

გავლენა აქვს ენების სიკვდილს. ბუნებრივია, ლინგვისტებმა ვიცით და საზოგადოებაც ხვდება, რომ ნებისმიერი ენა არის ადამიანების კოლექტიური ინტელექტის უმაღლესი მიღწევა, ისევე ღვთაებრივი და იდუმალი, როგორც ცოცხალი ორგანიზმი¹⁷.

ამ კონტექსტში ასევე საინტერესოა ენისა და ბალის ანალოგია, რომლის ავტორიც არის ოფელია გარსია. გარსიას მიხედვით, ძალიან უინტერესო და მოსაწყენი იქნებოდა მსოფლიო რომ შედგებოდეს ერთი და იმავე ფერის ყვავილებიანი ბალებით. გაცილებით საინტერესო ესთეტიკური გამოცდილება გვექნება, თუ მოვინახულებთ ბალებს სხვადასხვა ზომის, ფერს და ფორმის ყვავილებით. ლინგვისტური მრავალფეროვნებაც გაცილებით საინტერესოს და მრავალფეროვანს ხდის მსოფლიოს. მაგრამ, ბალის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც გარკვეული სირთულეები იქმნება. ზოგიერთი ყვავილი (და ზოგიერთი ენა) ძალიან სწრაფად ვრცელდება და ყვავის, ზოგს კი განსაკუთრებული ზრუნვა და დაცვა სჭირდება. ენობრივი მრავალფეროვნება დაგეგმვას და მოვლას:

1. ბაღში ყვავილების სახეობების დამატება: სხვა ენების სწავლა დამატებითი და გამამდიდრებელი გამოცდილებაა;

2. იშვიათი ყვავილების დაცვა: კანონმდებლობისა და განათლების გზით რისკის ქვეშ მყოფი ენების დაცვა;
3. გადაშენების წინაშე მყოფ ყვავილებზე (ენებზე) ზრუნვა;
4. სწრაფად და ბუნებრივად გავრცელებადი ყვავილების კონტროლი: გავრცელება დასაშვებია, თუ ეს არ გამოიწვევს სხვა ჯიშების განადგურებას.¹⁸

¹⁷ Crystal, David. "Language Death" University Press, Cambridge, 2000. – p. 36

¹⁸ Garcia, Ofelia. From language garden to sustainable languaging: bilingual education in a global world. N O V E M B E R – D E C E M B E R 2 0 1 1, N A B E P E R S P E C T I V E S www.bangor.ac.uk/.../garcia/2012NABENewsletter_34n1_Nov2011_Dec2011.pdf

წყაროები:

1. Cook, Vivian J. Requirements for a multilingual model of language production. <http://www.ntlworld.com/vivian.c/Writings/Papers/RequirementsForMultilingualModel.htm>
2. Crystal, David. "Language Death" University Press, Cambridge, 2000
3. Constitution of Ukraine. http://www.static.rada.gov.ua/site/const_eng/constitution_eng.htm
4. Durk Gorter, "Cultural diversity as an asset for human welfare and development" in Sustainable Development in a Diverse World (SUS.DIV) www.ebos.com.cy/susdiv/uploadfiles/RT1.2_PP_Durk.pdf
5. Garcia, Ofelia. From language garden to sustainable languaging: bilingual education in a global world. NOVEMBER – DECEMBER 2011, NABE PERSPECTIVES www.bangor.ac.uk/.../garcia/2012NABENewsletter_34n1_Nov2011_Dec2011.pdf
6. Languages and Multilingualism | United Nations Educational - Unesco www.unesco.org/en/languages-and-multilingualism/
7. Tucker. G. Richard A Global Perspective on Bilingualism and Bilingual Education. Digests August 1999 EDO-FL-99-04 en.wikipedia.org/wiki/Multilingualism
8. Ажнюк Б. Мовна ситуація в Україні і зарубіжний досвід мовного планування // Українознавство. – 2007. – № 1.
9. Кісь Р. Лінгвокультурна маргіналізація у містах України. // Мовні конфлікти і гармонізація суспільства: Матеріали наукової конференції. – К., 2002.
10. Капраль М. Національні громади міста Львова XVI–XVIII ст. (соціально-правові взаємини). – Львів: ЛНУ ім. І. Франка, 2003.
11. Лозинський Р. Мовна ситуація в Україні. – Львів, 2008.
12. Матеріали Всеукраїнського перепису 2001 <http://2001.ukrcensus.gov.ua/eng/results/general/language/>
13. Мацюк Г. Прикладна соціолінгвістика. Питання мовної політики: Навч. посіб. – Львів: Видавничий центр ЛНУ імені Івана Франка, 2009.